

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის  
აჭარის ტელევიზია და რადიოს  
დირექტორის საქმიანობის  
ყოველკვარტალური ანგარიში

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35<sup>9</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ყოველკვარტალურ ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი:

2021 წლის

მეორე კვარტალი

## ბათუმი

### სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:  
ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;  
რადიო - შედეგები და საჭიროებები;  
ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები;  
მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის ტენდერები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა;
9. „შემდეგი თაობა“-სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

მაუწყებელი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის შეესაბამის ნორმების საფუძველზე, ისე რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელია.

## შესავალი

წარმოგიდგენთ 2021 წლის მეორე კვარტალის (აპრილი, მაისი, ივნისი) შედეგებს.

მაუწყებლის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების შესაბამისად;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

### ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

2021 წლის მეორე კვარტალის მთავარი გამოწვევა იყო ტექნიკური პრობლემების მოგვარება.

ამოცანები:

- სტუდიების განახლება;
- პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისი ღონისძიებების ღონისძიება;
- საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების სტუდიური დიზაინის შეცვლა;
- ტექნიკური გადაიარღების გეგმის კორექცია;
- ტელევიზიის შენობის მოწესრიგება;
- გარე წარმოების საფუძველზე ტელე-რადიო პროდუქციის შექმნასთან დაკავშირებით კონსულტაციების გამართვა და შესაბამისი დოკუმენტაციების მომზადება.

### კვარტლის მიღწევა

სანგარიშო პერიოდში მთავარი აქცენტი გადატანილი იყო მაუწყებლის ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებაზე, ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის #16/18-ში მდებარე ფართი - 305,3 კვ.მ. მოხდა ელმომარაგების საკითხის გადაჭრა, როგორც ძირითადი ოფისის ასევე მ. აბაშიძის #16/18-ში მდებარე ფართი - 305,3 კვ.მ. შენობაში სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით გამოცხადდა ტენდერი.

### კვარტლის გამოწვევა

#### საერთო ფონი კვლავ რთულია

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის სამუშაო დისციპლინის არადამაკმაყოფილებელი დონე.

„პროგრამა=პრიორიტეტს“ შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელი ორიენტირებული იყო კანონისა და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების საკითხებზე. ვცდილობდით გაგვეშუქებინა მთავარი გამოწვევები.

#### ტელევიზია-შედეგები:

ახალი ამბების სამსახურისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება.

#### რადიო-შედეგები:

პერიოდულად მიმდინარეობდა ყოველკვირეული მუსიკალური პლეილისტის გენერაცია -

#### ინტერნეტი-შედეგები:

- დებულების თანახმად, 2021 მეორე კვარტალში, საიტზე აიტვირთა ყველა გადაცემა და ფილმი, რომელიც გავიდა ეთერში. ასევე, საიტზე განთავსდა რადიოში გასული აუდიო გადაცემები.
- ვიდეო მასალები დახარისხდა და პარალელურად აიტვირთა მაუწყებლის youtube არხზე.
- ფბ გვერდზე გაზიარდა გადაცემების ანონსები, რომელიც მოგვაწოდა მაუწყებლობამ.
- დავამუშავეთ და დავჭერთ გასული გადაცემებიდან საინტერესო მონაკვეთები, გავაზიარეთ სოციალურ ქსელებში, დახურულ და თემატურ ჯგუფებში.
- დავამუშავეთ, დავახარისხეთ და ავტვირთეთ მაუწყებლის ადმინისტრაციისა და მრჩეველთა საბჭოს დოკუმენტები, გადაწყვეტილებები და სხდომები.
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის, საიტზე შევქმენით ცალკე სივრცე და გადავიტანეთ მანამდე არსებული დოკუმენტები. დავამატეთ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო მონაცემები. საიტზე გაჩნდა ახალი სივრცე, სადაც მაუწყებლის სამსახურებისა და მათი ხელმძღვანელი პირების შესახებ განთავსდა ინფორმაცია.
- განახლდა გადაცემების შესახებ ინფორმაცია.

აჭარის მაუწყებლის ონლაინ სამსახური, დებულების თანახმად, პასუხისმგებლობას იღებს და ითვლის მხოლოდ მაუწყებლის შემოქმედებითი გადაცემების სოციალურ მონაცემებს.

გთავაზობთ მოქალაქეების ინტერაქციის (კომენტარები, ემოციები, გაზიარებები) მიხედვით კვარტლის მონაცემებს:

მაუწყებლის გადაცემებს შორის, ფბ აუდიტორიის ყველაზე მეტი ჩართულობა - ამ კვარტალში „დილის ტალღას“ აქვს. მათ მიერ ფბ დადებულ კონტენტს 31 ათასზე მეტი კომენტარები, ემოციები და გაზიარებები აქვს. (გასულ კვარტალში ლიდერობდა „ერთი დღე სოფელში“ (48 ათასი რეაქციით)).

Crowdtangle-ს მონაცემებით დილის ტალღის გვერდზე, ბოლო სამ თვეში ყველაზე პოპულარული იყო ვიდეო 10 წლის მოზარდზე. ვიდეომ 289 ათასზე მეტ ინახვა დააგროვა და თითქმის 10 ათასი ემოცია. მას მოსდევს ვიდეო ფლორისტზე. სიუჟეტი 45 ათასმა ადამიანმა ნახა.



მოქალაქეთა ჩართულობის მიხედვით, მეორე ადგილზეა „ეს შუადღე“ ამ კვარტალში. ყოველდღიური გადაცემა მეორე ადგილზე 15 ათასიანი მაჩვენებლითაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სამი თვის განმავლობაში, გადაცემის მიერ შექმნილ პროდუქტებზე 15 ათასზე მეტი ემოცია, გაზიარება ან ემოცია გამოხატეს.

გადაცემის ოფიციალურ გვერდზე 6 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა ზვიად სირაბიძისა და ფსიქოლოგ ნონა ხიდაშელის ინტერვიუ. პუბლიკაციამ დააგროვა 300 მდე ემოცია და კომენტარი.



მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით მესამე ადგილზეა გადაცემა „ჰემთეგი“, მეოთხე ადგილზე „ერთი დღე სოფელში“, შემდეგ „დილის რადიო“ და „zoom განათლებაზე“ ,

სურინი 1 - რეიტინგი ინტერაქციის მიხედვით



The Public Broadcaster of Ajara ... > List > 15 Facebook Pages

აჭარის ტელევიზია

Posts **Leaderboard** Notifications Manage

All Posts Custom Date Range Any Page Size By Followers

04/01/2021 - 07/05/2021 Go

Page Name	Total Interactions	Interaction Rate	Avg. Posts Per Day	Views on Owned Videos	Page Followers	Growth % and #
Average Total	5,960.87	0.732%	0.96	184,509.33	18,206.33	+17.67%
1 დილის ტალია / Dilis Talga	31,372	0.41%	3.75	907,054	23,303	+19.00% +3,720
2 ეს შუადღე. Ajara TV	15,503	1.156%	2.66	503,850	6,386	+53.36% +2,222
3 ჰეშთაგი / Hashtag	12,535	0.244%	0.83	546,347	65,104	+1.20% +775
4 ერთი დღე სოფელში	7,489	0.557%	0.26	82,722	54,003	+1.32% +706
5 დილის რადიო	6,005	0.342%	4.47	139,879	4,470	+20.42% +758
6 ZOOM განათლებაზე	4,277	0.549%	1	145,371	8,755	+14.73% +1,124
7 ბუნების კანონი	4,036	3.134%	0.22	238,822	8,347	+113.81% +4,443
8 ვეზაბურები საქართველოს	3,448	1.243%	0.17	80,618	17,573	+3.21% +547
9 მე ვარ ფერმერი / Me Var Farmeri	2,646	0.502%	0.12	66,847	50,480	+12.00% +5,409
10 სპორტკლუბი / SportClub	1,138	0.834%	0.18	36,107	8,036	+3.24% +252
11 ART ექსპერტი / ART Expert	451	0.69%	0.52	9,329	1,357	+8.47% +106
12 უცხო სუნელი	259	0.219%	0.14	4,263	8,797	+2.36% +203
13 ბიბლიოთეკა	140	0.998%	0.03	3,600	4,827	+10.00% +439
14 იმპულსი • Impulsi	114	0.094%	0.12	2,831	10,665	+0.92% +97
15 თეთრი კვადრატ / White Quadrat	—	—	—	—	992	+1.02% +10

აღსანიშნავია, რომ გასულ კვარტალში გაცილებით მაღალი იყო საზოგადოების ჩართულობა და ვიდეოების ნახვის დინამიკა. ასევე, განსხვავდებოდა რეიტინგების შკალაც. თუმცა, ყოველწლიური დაკვირვება ცხადყოფს, რომ ზაფხულის სეზონზე სხვა მედიაპროდუქტების რეიტინგებიც იკლებს ბაზარზე.

სკრინი 2 - რეიტინგი ვიდეოების ნახვების მიხედვით

Page Name	Total Interactions	Interaction Rate	Avg. Posts Per Day	Views on Owned Videos	Page Followers	Growth % and #
Average Total	6,010.67	0.732%	0.96	186,271.47	18,206.87	+17.67%
1 დილის ტალღა / Diis Talga	32,071	0.42%	3.75	930,241	23,303	+19.00% +3,720
2 ჰეშთეგი / Hashtag	12,543	0.244%	0.83	546,935	65,104	+1.20% +775
3 ეს შუადღე. Ajara TV	15,521	1.156%	2.66	504,833	6,386	+53.36% +2,222
4 ბუნების კანონი	4,036	3.134%	0.22	238,822	8,347	+113.81% +4,443
5 ZOOM განათლებაზე	4,277	0.549%	1	145,371	8,755	+14.73% +1,124
6 დილის რადიო	6,027	0.342%	4.47	141,553	4,470	+20.42% +758
7 ერთი დღე სოფელში	7,489	0.557%	0.26	82,722	54,002	+1.32% +705
8 ვეშსატურები საქართველოს	3,448	1.243%	0.17	80,618	17,573	+3.21% +547
9 მე ვარ ფერმერი / Me Var Farmeri	2,646	0.502%	0.12	66,847	50,489	+12.02% +5,418
10 სპორტკლუბი / SportClub	1,138	0.834%	0.18	36,107	8,036	+3.24% +252
11 ART ექსპერტი / ART Expert	451	0.69%	0.52	9,329	1,357	+8.47% +106
12 უცხო სუნელი	259	0.219%	0.14	4,263	8,797	+2.36% +203
13 ბიბლიოთეკა	140	0.998%	0.03	3,600	4,827	+10.00% +439
14 იმპულსი • Impulsi	114	0.094%	0.12	2,831	10,665	+0.92% +97
15 თეთრი კვადრეტი / White Quadrat	—	—	—	—	992	+1.02% +10


ამ საზომის მიხედვით ირკვევა, რომ ყველაზე მეტი ნახვა ისევ „დილის ტალღის“ ვიდეოებმა დააგროვეს 930 ატასი (ყველა დადებული ვიდეოების ნახვის ჯამი), მეორე ადგილზე კი ჰეშთეგის ფბ გვერდია (ამ გადაცემის მიერ განტავსებული ვიდეოები 547 ათასმა ადამიანმა ნახა).

მას მოსდევს ეს შუადღე, დაახლოებით იგივე მონაცემებით და გადაცემა „ბუნების კანონი“, რომელსაც ჩართულობა ნაკლები აქვს, თუმცა ვიდეოების ნახვებით კარგად პოზიციონირებს.

აღსანიშნავია, რომ არტ ექს-პერტის ვიდეოების ინტერაქციაც და ნახვებიც იმატებს . უსწრებს სხვა გადაცემების გვერდების (იმპულს, ბიბლიოთეკას და უცხო სუნელს) მონაცემებს, თუმცა მაინც დაბალი მაჩვენებლებია.

*ყველაზე პოპულარული ვიდეოები 2021 წლის პირველ კვარტალში*

პირველ კვარტალში, ყველაზე პოპულარული „დილის ტალღის“ ვიდეოა 289 ათასი ნახვით. /შენიშვნა/ ფბ ნახვად აფიქსირებს ნების მოძრაობას, როგორც 1 წუთზე მეტი ხნით ჩართულ ვიდეოს, ასევე 3 წამით ან უფრო მოკლე ხნით.




მეორე ადგილს იჭერს „ეს შუადღის“ ვიდეო - არტური წავიდა

5 ათასმდე ემოცია, 500-ზე მეტი კომენტარი და 1000-ზე მეტი გაზიარება. ვიდეოს ჯამში 235 ათასი ნახვა დაუგროვდა.

მესამე და მეოთხე ადგილზეა კვლავ „ეს შუადღის“ და „ბუნების კანონის“ ვიდეოები



154 ათასი ნახვით პოპულარულ ვიდეოებში მოხვდა ჰემთეგის სიუჟეტიც ქალთა ძალადობის თემაზე, ასევე რადიოს დილის გადაცემის ვიდეო.



რაც შეეხება აჭარის ტელევიზიის მთავარ გვერდს, მიმდინარე კვარტალში ყველაზე ეპოპულარული გახდა არტ-ექსპერტიდან ამოჭრილი მოკლე ვიდეო, რომელიც მტავარ გვერდზეც განვათავსეთ.

მას 22 ათასამდე ემოცია აქვს, 1200 მდე კომენტარი და 2300 მდე გაზიარება. ვიდეო 179 ათასმა ადამიანმა ნახა.



მთავარ გვერდზე პოპულარული იყო პოსტი გაზრდილ ჯარიმებზე, რომელიც საჭის ნასვამ მდგომარეობაში მართვის შემთხვევაში დაეკისრებათ მძროლებს. მესამე დამეოთხე ადგილებზეა კი საფეხბურთო მატჩის პირდაპირი ეთერებია ბათუმის ცენტრალური სტადიონიდან.



*მაუწყებლის მთავარი გვერდის - აჭარის ტელევიზია - საზოგადოებრივი მაუწყებლის  
პოზიციონირება კონკურენტ არხებთან ფეისბუქზე*

Page Name	Total Interactions	Interaction Rate	Avg. Posts Per Day	Views on Owned Videos	Page Followers	Growth % and #
Average Total	522,050.98	0.173%	23.12	12.86M	182,409.02	+3.15%
TV Pirveli • ტელეკომპანია პირველი	8.95M	0.128%	96.42	283.08M	800,161	+10.14% +73,641
მთავარი არხი • Mtavari Arkhi	6.14M	0.068%	100.19	176.31M	958,106	+1.52% +14,345
Rustavi 2 • რუსთავი 2	5.73M	0.104%	55.36	143.65M	1,065,156	+4.39% +44,760
პირველი არხი	1.82M	0.079%	50.95	25.71M	488,780	+5.10% +23,698
რადიო თავისუფლება	1.47M	0.069%	56.09	26.79M	411,901	+7.54% +28,871
Tabula - ტაბულა	716,254	0.054%	59.28	6.65M	235,873	+2.28% +5,269
ambebi.ge • ამბები.ge	610,200	0.029%	60.76	618,153	369,441	+0.73% +2,660
პრაიმშოუ • PrimeShow	486,293	0.627%	2.16	16.03M	386,202	+4.17% +15,453
ბათუმელები • Batumelebi.ge	463,394	0.154%	29.11	6.26M	113,242	+9.54% +9,860
თოქ შოუ პროდილი	443,861	0.339%	2.83	20.48M	497,266	+4.16% +19,844
ნანუკა ჯორჯოლიანის შოუ / Nanuka Zhorzholiani's Show	427,863	0.415%	1.97	6.99M	551,026	-0.02% -102
InterPressNews.ge	404,010	0.058%	57.41	587,031	128,882	+2.20% +2,769
BMG • ბიგზეი	389,920	0.032%	77.44	6.01M	166,001	+6.67% +10,373
Netgazeti	351,534	0.072%	39.86	5.23M	130,018	+4.29% +5,352
POSTV - გართობა	342,670	0.108%	6.06	14.00M	564,245	+4.54% +24,513
TV პალიტრანიუსი - TV PalitraNews	340,969	0.017%	99.85	10.84M	210,675	+3.36% +6,844
Kavkasia TV • ტელეკომპანია კავკასია	340,644	0.234%	38.79	2.28M	41,574	+11.73% +4,365
კომერსანტი • Commerçant	336,189	0.217%	28.74	5.07M	63,266	+26.50% +13,255
Kakha Kaladze კახა კალაძე	328,978	1.064%	0.65	2.12M	500,567	+0.79% +3,913
NEWS.On.ge	298,146	0.039%	55.02	5.94M	150,212	+3.14% +4,572
palitravideo.ge	215,118	0.022%	42.62	2.08M	244,823	+0.51% +1,254
აჯარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი მაუწყებლობა	214,919	0.034%	46.21	1.48M	142,367	+2.54% +3,525
ამერიკის ხმა	205,698	0.053%	15.26	4.42M	266,953	+2.60% +6,757
POSTV - ახალი ამბები	193,735	0.069%	23.38	3.12M	127,154	+1.51% +1,896
On.ge	189,095	0.035%	31.22	1.28M	182,911	+2.13% +3,809

მიმდინარე კვარტალში, მაუწყებლის მთავარი გვერდის რეიტინგი მე-13 ადგილიდან 22 ადგილზე გადავარდა.

თუ გასული კვარტლი სმონაცემებით ვიმსჯელებთ, ტოპვიდეოებში მაუწყებლის გვერდიდან მხოლოდ „სახალხო კონტროლის“ ვიდეოები ხვდებოდა, რომლის ინტერაქცია და ნახვების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ყველა სხვა ვიდეოსა და პოსტის მაჩვენებლებს ამ გვერდზე.

მაუწყებლის საინფორმაციო ამბების ნახვები, მნიშვნელოვნად შემცირებულია და ფბ გვერდის კარგი შედეგები გადაცემების ხარჯზე (ძირითადად სახალხო კონტროლის) ფიქსირდებოდა.



ახალი ამბებისადმი ინტერესის ნაკლებობის ტენდენცია თვალსაჩინოდ ჩანს როგორც top.ge ასევე google analytics მონაცემებით.

ამ მონაცემებს დეტალურად აღარ გაწვდით, რადგან ვებ-გვერდისა და ფეხ გვერდის ძირითადად კონტენტს საინფორმაციო სამსახური ქმნის და მათ აქვთ მონაცემებზე წვდომა.

### *მაუწყებლის Youtube არხი*


Youtube გვერდზე აქტიურად მუშაობა 2020 მარტში დავიწყეთ, რადგან საიტზე ვიდეოების განთავსება, Youtube-ის მეშვეობით დავიწყეთ.

ერთის მხრივ, ამ გადაწყვეტილებით აჭარის მაუწყებლის ციფრულ არქივს ვქმნით, მსოფლიოში ყველაზე სანდო პლატფორმაზე. მეორეს მხრივ, ვზრდით აუდიტორიის ხელმისაწვდომობასამ პროდუქტებზე. ამასთან, ეტაპობრივად ვზრდით ჩვენს მომხმარებლებს ამ არხზე.

ბოლო კვარტალში, მაუწყებლის შემოქმედებითი გადაცემები youtube-ზე 748 ათასია. 2100 გაიზარდა მიმდევრების რიცხვი, საერთო ჯამში 11 ათასია. ეს ციფრი ძალიან დაბალია, თუმცა დინამიკა მზარდია.

ვფიქრობთ, რომ მომდევნო ორ კვარტალში აქტიურად ვიმუშაოთ ამ პლატფორმაზე და სასურველი შედეგის მიღწევის შემდეგ ჩავრთოთ მონეტიზაცია.

### **სქრინი 1 - მიმდინარე კვარტალ**



არხზე ვიდეოების ნახვები სტაბილურია და გასული კვარტლის მონაცემებს იმეორებს. გამომწერთა რაოდენობა კი 1900 გაიზარდა და 13 111 შეადგენს.

2021 წლის მეორე კვარტალში ახალი ამბების სამსახურში ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, თანამშრომელთა დიდ ნაწილს კორონავირუსული ინფექცია ჰქონდა, ნაწილი კი მათი კონტაქტი იყო, ფაქტობრივად ძალიან მწირე რესურსით 3 (სამი) კვირის განმავლობაში, ახალი ამბების სამსახურმა შეძლო გამკლავებოდა ამ გამოწვევასაც და ეთერს მიღმა არ დარჩენილიყო არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. თითქმის ყოველდღიურად იყო ეთერში „ნამახვანჰესის“ საწინააღმდეგო აქციები, ჩვენი რეპორტიორები პირდაპირი ჩართვებით უშუალოდ მოვლენათა ეპიცენტრიდან აშუქებდნენ ამბებს. დედაქალაქსა და ზოგადად ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში, მიმდინარე მოვლენების გასაშუქებლად ხშირად თბილისის ბიუროს რეპორტიორთა და ოპერატორთა ჯგუფი არ არის საკმარისი, რის გამოც ოპერატიულობისთვის აუცილებელი ხდება ჯგუფების მივლინება ბათუმიდან. საინფორმაციო გამოშვებების სპეციალური ეთერები ეთმობოდა პარლამენტში პრეზიდენტისა თუ პრემიერის გამოსვლას და სხვა მნიშვნელოვან ამბებს, რომლის მიწოდებაც საზოგადოებისთვის აუცილებელია. ახალი ამბების სამსახურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ „თოქ-შოუების“ ეთერი ეთმობა ყველა პოლიტიკური პარტიის წევრს, მათი სურვილის შესაბამისად. ის, რომ ოპოზიციის ხმა ხშირად ისმის აჭარის მაუწყებლის ეთერში ადასტურებს, თავად ოპოზიციონერი წევრების სიტყვები, რომლებმაც ეს თავად აღნიშნეს უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, სადაც მაუწყებლის მრჩეველები რეგიონის საკონომდებლ ორგანოს ანგარის ახარებდნენ. მიმდინარეობს მუშაობა საგამომიებო შინაარსის მქონე გადაცემაზეც, „სპეციალური რეპორტაჟის“ მოსამზადებლად, ჩვენი გადამღები ჯგუფები მოგზაურობენ სხვადასხვა ქალაქში. მეორე კვარტლის პერიოდში, გადაიხედა სახელფასო კალათაც და თანამშრომელთა გარკვეულ ნაწილს მოემატა შრომის ანაზღაურება. სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში, ახალი ამბების სამსახურში პრაქტიკას

გადიან, ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის, ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის 3 (სამი) სტუდენტი. საკადრო ცვლილებები იყო ვებ-რედაქტორის პოზიციაზე, დავით წურწუმიამ, რომელიც ამ პოსტზე 1(ერთი) წელი მუშაობს საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა მაუწყებელი, მის ნაცვლად აყვანილმა კი ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და დატოვა მაუწყებელი, სოციალური ქსელის ეფექტურად მუშაობისთვის კი კვლავ დავით წურწუმის აყვანა გახდა საჭირო. ოპერატორი შეიცვალა თბილისის ბიუროშიც. ბუნებრივია, წლის ამ კვარტალშიც გრძელდებოდა თანამშრომლობა „ამერიკის ხმასთან“ ასევე, მასალების გაცვლა/დახმარება სხვა მედია საშუალებებთან, როგორც ჩვენი ასევე მათი მხრიდან.

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურში 2021 წლის მეორე კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:**

- ქართული ფილმების (70 ფილმი) მიღება-შემოწმება და საეთეროდ განთავსება;
- საავტორო გადაცემების და მექანიკური პროდუქციის ანონსირება;
- ყოველკვირეული პროგრამის შემუშავება და სხვადასხვა ვებ პლატფორმაზე მიწოდება, მაქტისატისთვის პროგრამის დამუშავებამიწოდება;
- ბრენდირებული ნივთების შეძენა:
  1. ბრენდირებული მაისურები;
  2. ბრენდირებული ბლოკნოტები ;
  3. ბრენდირებული ბლოკნოტები რეპორტიორებისთვის;
  4. მიკროფონის დროშები (ბრენდირებული დამცავები);
  5. მიმდინარეობს ოპერატორებისთვის საწვიმარი ლაბადების შეძენის პროცესი;
- ორგანიზაციებიდან სოციალური რეკლამის მიღება-განთავსება; ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, რგოლის დამზადება-განთავსება;
- 10 კომპანიის კომერციული მომსახურება, შემოსული თანხა შეადგენს 18644 ლარს;
- 18 ივნისს გამოცხადდა კონკურსი (გამარტივებული წესით) აუდიონაწარმოებების საჯარო გადაცემის ლიცენზიის შესიღვაზე - 35 ს. BBC დოკუმენტური ფილმები და 30 საათი ანიმაციური სერიალი, მიმდინარეობს პროდუქციის შერჩევა;
- პირველ კვარტალში ბადეში შევიდა შემდეგი ცვლილება:
  1. პარლამენტის სხდომების პირდაპირი ტრანსლაციები;
  2. ფეხბურთის პირდაპირი ტრანსლაციები - ეროვნული ლიგა;
  3. სადღესასწაულო და მნიშვნელოვანი თარიღების გათვალისწინება-პირდაპირი ტრანსლაციების უზრუნველყოფა ( 26 მაისი- დამოუკიდებლობის დღე, 25 ივნისი-მეზღვაურთა დღე, 1 ივნისი - ტურისტული სეზონის გახსნა);
  4. საქველმოქმედო კონცერტის (დავებმართ გ.ჩიტიშვილს) ჩვენება;
- 2021წლის მეორე კვარტლისთვის სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახური ფლობს ღია წყაროებში არსებულ სარეიტინგო მონაცემებს. წარმოგიდგინთ მათ განზოგადებულ ნაწილს. (დანართი N2). აპრილის მონაცემები ტექნიკური ხარვეზის გამო არ არის სრული, შესაბამისად 1-11 აპრილის მდგომარეობით აჭარის ტელევიზიის სარეიტინგო

მონაცემმა rtg(000) შეადგინა 1,7, ხოლო მაისის იგივე მონაცემი 1,9 ერთეულამდე გაიზარდა. ბოლოს არსებული ინფორმაციით, 1,6 ერთეულს ითვლის 1-13 მაისის მონაცემებით. წარმოდგენილ არხებში (ჯამში 17 არხი), 1-11 აპრილის შუალედში აჭარის ტელევიზია იკავებდა მე-14 პოზიციას, მაისშიც მე-14-ს, ასევე 1-13 ივნისის მონაცემებითაც მე-14 პოზიციაზე. (დანართი N2)

### რადიო-შედევები და საჭიროებები:

**2021 წლის პირველი მეორე მონაცემებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:**

პერიოდულად მიმდინარეობდა ყოველკვირეული მუსიკალური პლეილისტის გენერაცია - განახლება, მიმდინარეობდა რადიოს საეთერო სტუდიებში წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა, საეთერო სტუდიაში გამოიცვალა რადიოს სტუდიური მაგიდა, დაიწყო გარეწარმოების ხაზით რადიო აჭარის ბადისტვის შესამენი გადაცემების წინასაკონკურსო მოკვლევითი პროცესი. დადგინდა სასურველი გადაცემების მიმართულებები და შინაარსი,

დღემდე პრობლემად რჩება ადამიანური რესურსის ნაკლებობა. რის გამოც ვერ ხერხდება რადიოს რიგი მიმართულებების სათანადოდ წარმოჩენა. საკადრო სიმცირეს განიცდის როგორც შემოქმედებითი ჯგუფი, ასევე ანალიტიკურიც.

პერიოდულად ვლინდებოდა რადიოს ფმ დიაპაზონზე მაუწყებლობის ხარვეზები.

მიმდინარე პროგრამულ ბადეში განთავსებული გადაცემების ჩამონათვალი იხილეთ დანართი N3 სახით .

**მონიტორინგის ანგარიშები საანგარიშოპერიოდის განმავლობაში თვითრეგულირების ფარგლებში მაუწყებელში 2(ორი) საჩივარი არის შემოსული.**

- 2021 წლის 04 ივნისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ (შემდგომში - „მაუწყებელი“) დირექტორს განცხადებით მომართა სსიპ ბათუმი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა ალექსანდრე მითაიშვილმა და მიუთითა, რომ მაუწყებლის ეთერში მის შესახებ 2021 წლის 01 ივნისს გასული სიუჟეტი წარმოდგენილია არაზუსტად და მცდარად, რის გამოც შეილახა მისი პრესტიჟი და მოითხოვს საჯაროდ ბოდიშის მოხდას.

- 2021 წლის 03 ივნისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ (შემდგომში - „მაუწყებელი“) დირექტორს განცხადებით (#02-11/223) მომართა ნარგიზ და ზაურ მელაძეების წარმომადგენელმა ზაზა პაპიძემ, სადაც მიუთითა, რომ მაუწყებლის გადაცემა „ჰემთეგში“ გასულ სიუჟეტში („ფეიბუქზე“ განთავსების თარიღია 2021 წლის 21 მაისი) მზიური მელაძის შესახებ (რომელსაც ოჯახის წევრები ემუქრებიან და შიშით ცხოვრობს) მითითებული გარემოებები არის არაზუსტი და გადაუმოწმებელი, რის გამოც ითხოვს მასალის რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანას და სათანადო შესწორებას.

**იურიდიული მხარდაჭერა**

2021 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

**შიდა დოკუმენტი - 866 (რვაას სამოცდაექვსი);**

**გარედან შემოსული - 157 (ასორმოცდჩიდმეტი).**

კანცელარიიდან გაიგზავნა 107 (ასშვიდი) წერილი.

მაუწყებელში შეიქმნა და რეგისტრაციაში გატარდა:

**პირადი შემადგენლობის შესახებ (03-01) – 29 ბრძანება (ოცდაცხრა) ;**

**ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - 05 (ხუთი) ბრძანება;**

**ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) – 39 (ოცდაცხრამეტი) ბრძანება.**

**რეგისტრაციაში გატარდა - 171 (ასსამოცდათერთმეტი) მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი.**

**1. სასამართლო დავები:**

ა) სააპელაციო სასამართლოში სხდომა - მაია მერკვილამის სააპელაციო საჩივრის განხილვა. (მრჩველთა საბჭოს 2021 წლის 19 თებერვლის საშტატო ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ)

27/04/2021 - გადაწყვეტილების გამოცხადება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ნაწილში, დაკმაყოფილდა სახელმწიფო ბაჟის ნაწილში.

ბ) მაია მერკვილამის და თეონა ხარაბამის დაზუტებულ სამოქალაქო სარჩელზე შეტანილი იქნა შესაგებელი.

გ) 2021 წლის 25 მაისს და 2021 წლის 23 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა მაუწყებლის ყოფილი დირექტორის, ნათია კაპანაძის სარჩელის განხილვა. საქმე განხილვის პროცესშია.

დ) 2021 წლი 03 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაიმართა დისტანციური სხდომა მაუწყებლის საჩივრის გამო მოპასუხე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს, ფ/პ ჯუმბერ ძირკვამის მიმართ (პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხე ფ/პ დაეკისრა მოთხოვნილი თანხის ნახევარი).

2021 წლის 02 ივლისს გამოცხადდა გადაწყვეტილება - მაუწყებლის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ე) მაუწყებლის ეთერი, გადაცემა „მე ვარ ფერმერის“ შინაარსის გამო - მეთაბაქეობა ქედაში, მაუწყებელი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად. შინაარსი მიჩნეული იქნა თამბაქოს ნაწარმის რეკლამად, რაც კანონით აკრძალულია. სხდომა გაიმართა 2021 წლის 24 ივნისს. გადაწყვეტილება გამოცხადდა 2021 წლის 01 ივლისს.

ვ) მაუწყებლის მიერ სს“საზღვაო ჰოსპიტალი“ (დამკვეთის) წინააღმდეგ წარდგენილი იქნა საჩივარი სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამკვეთის მიერ თანხის გადაუხდელობის გამო თანხის გადახდის მოთხოვნით: ძირითადი თანხა 400 ლარი, პირგასამტეხლო - 430,4 ლარი. სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული. მოპასუხე მხარეზე სარჩელი ჩაბარების შემდგომ, მოპასუხემ ნებაყოფლობით შეასრულა ვალდებულებები - 2021 წლის 24 ივნისს მაუწყებლის ანგარიშზე ჩარიცხა ძირითადი თანხა და პირგასამტეხლო.

ზ) მაუწყებელმა აღძრა საჩივარი ი/მ ციური დიასამიძის მიმართა საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების 81,61 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე. სარჩელი წარმოებაში მიღებული. სარჩელი ორჯერ გაეგზავნა მოპასუხეს და ვერ ჩაბარდა.

## 2. იჯარები

ა) დაინტერესებული პირების მოთხოვნის საფუძველზე გამოცხადა სამი აუქციონი მაუწყებლის ბალანსზე რიცხული ქონების - დაბა მახინჯაურში გადამცემი სადგური - იჯარით გაცემის თაობაზე. ორი აუქციონი ჩაიშალა - დაინტერესებულმა პირებმა - რადიო „მაესტრო“ და რადიო „ვინილი“ - მათივე განმარტებით, ვერ მოახერხეს ვებ.გვერდზე დარეგისტრირება აუქციონში მონაწილეობის მისაღებად. ერთ აუქციონში გაიმარჯვა სს „სილქნეტმა“.

ბ) მაუწყებელმა შპს „აჯადისთან“ გააფორმა ხელშეკრულება სარეკლამო ბანერის იჯარის თაობაზე. იჯარის ვადა 2021 წლის 25 ივნისიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით.

## 3. მემორანდუმები

ა) 2021 წლის 25 მაისს გაფორმდა მემორანდუმი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტთან - უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის პროფესიული განვითარების მიზნით მაუწყებლის მირ პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული ნაწილის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

ბ) 2021 წლის 14 ივნისს გაფორმდა მემორანდუმი ა(ა)იპ როდონიტთან - თანამედროვე ქართული დრამატურგიის განვითარებისა და თეატრის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით.

გ) 2021 წლის 29 ივნისს გაფორმდა მემორანდუმი ა(ა)იპ "NOOSFERA FOUNDATION"-თან - დოკუმენტური ფილმის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით

დ) 2021 წლის 30 ივნისს გაფორმდა მემორანდუმი შპს „ახალ თაობასთან“ - აჭარის რეგიონის კულტურული განვითარებისა და ახალგაზრდების მუსიკის სფეროში ჩართულობის/ხელშეწყობის მიზნით

#### 4. ხელშეკრულებები

ა) გაფორმდა 10 (ათი) ხელშეკრულება სარეკლამო კონტენტის შესახებ.

ბ) გაფორმდა 2(ორი) ხელშეკრულება საჯარო გადაცემის ლიცენზიის (ქართული ფილმები, ქართული ანიმაცია) შესყიდვის თაობაზე.

გ) გაფორმდა ერთი ხელშეკრულება რადიოვიზუალიზაციის პროგრამის ლიცენზიის შესყიდვის თაობაზე.

დ) სხვადასხვა სახის ცვლილებები ხელშეკრულებებში.

#### 5. თვითრეგულირება.

ა) 2021 წლის 04 ივნისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ (შემდგომში - „მაუწყებელი“) დირექტორს განცხადებით (#02-14/230) მომართა სსიპ ბათუმი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა ალექსანდრე მითაიშვილმა და მიუთითა, რომ მაუწყებლის ეთერში მის შესახებ 2021 წლის 01 ივნისს გასული სიუჟეტი წარმოდგენილია არაზუსტად და მცდარად, რის გამოც შეილახა მისი პრესტიჟი და მოითხოვს საჯაროდ ბოდიშის მოხდას.

ბ) 2021 წლის 03 ივნისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ (შემდგომში - „მაუწყებელი“) დირექტორს განცხადებით (#02-11/223) მომართა ნარგიზ და ზაურ მელაძეების წარმომადგენელმა ზაზა პაპიძემ, სადაც მიუთითა, რომ მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგში“ გასულ სიუჟეტში („ფეიბუქზე“ განთავსების თარიღია 2021 წლის 21 მაისი) მზიური მელაძის შესახებ (რომელსაც ოჯახის წევრები ემუქრებიან და შშით ცხოვრობს) მითითებული გარემოებები არის არაზუსტი და გადაუმოწმებელი, რის გამოც ითხოვს მასალის რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანას და სათანადო შესწორებას.

ორივე საჩივარი მაუწყებლის მიერ განხილული იქნა თვითრეგულირების ფარგლებში. სხდომა გაიმართა 2021 წლის 15 ივნისს.

სხდომაზე საჩივარი გამოიხმო მზიური და ნარგიზ მელაძეების წარმომადგენელმა.

ალექსანდრე მითაიშვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მხარეებს ჩაბარდათ გადაწყვეტილებები.

## 6. გამოთხოვილი ინფორმაციები

ა) სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტში სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით – შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან (საპროტესტო აქციებზე), სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით – შემოსული 9 (ცხრა) წერილი ინფორმაციის/ვიდეომასალის გამოთხოვის თაობაზე. ყველა წერილზე გაცემულია პასუხი. წარმოდგენილია 3 (სამი) განჩინება ვიდეომასალის გამოთხოვის თაობაზე – გაცემულია შესაბამისი მასალა (ერთი განჩინება შემოსულია 30/06/2021).

ბ) მოსარჩელე ნ.კ.–ს წარმომადგენელი – მიეწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია

გ) ა(ა)იპ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მიერ საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვილ თანამშრომელთა დასაქმების/გათავისუფლების/ანაზღაურების შესახებ წერილზე არ არის პასუხი გაცემული, ასევე, პანდემიის გამო შეჩერებული გადაცემებზე მომუშავეთა ანაზღაურების თაობაზე.

## 7. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ა) 2021 წლის 21 ივნისიდან 2021 წლის 02 ივლისის ჩათვლით ვასრულებ საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობას.

ბ) 2021 წლის მაისის თვეში ვაწარმოე ერთი დისწიპლინური საქმე ნ.დ.-ს მიმართ და გავეცი შესაბამისი რეკომენდაცია.

გ) მიმდინარეობდა მუშაობა ახალი შინაგანაწესზე, დისწიპლინური წარმოების დებულებაზე, პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტზე. მრცველთა საბჭოში წარდგენილია მაუწყებლის მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების ახალ პროექტი.

დ) სხვადასხვა სახის ოფიციალური კორესპონდენცია, შიდა სამუშაო მოხსენებითი ბარათები, წერილები და ა.შ.

ვ) ვმუშაობ კომისიის წევრის სტატუსით სატენდერო კომისიაში, ინვენტარიზაციის კომისიაში და სოციალური რეკლამის სტატუსის მიმნიჭებელ კომისიაში.



## კვარტლის ტენდერები

2021 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ მეორე კვარტალში გამოცხადდა 16 (თექვსმეტი) ტენდერი, მათ შორის: უარყოფითი შედეგით დასრულდა - 4 (ოთი) , გამოცხადებულია 1(ერთი) , შერჩევა/შეფასების ეტაპზეა - 3 (სამი), არ შედგა - 2 (ორი) , ხოლო 6 (ექვსი) შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

## ინფორმაცია გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ:

1. 21 (ოცდაერთი) გამარტივებული შესყიდვა საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;
2. 20 (ოცი) გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტით;
